



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა

სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 05-06.02.2024

დასკვნის წარდგენის თარიღი: 13.03.2024

თბილისი

შინაარსი

| | |
|--|----|
| I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ | 4 |
| II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა..... | 5 |
| III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან | 13 |
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა..... | 13 |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | 28 |
| 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | 38 |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | 43 |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები..... | 56 |

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|--|--|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით | სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205304357 |
| დაწესებულების სახე | სასწავლო უნივერსიტეტი |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | რუდიგერ ლომანი, ლუბეკის გამოყენებითი მეცნიერებების ტექნიკური უნივერსიტეტი, გერმანია (TH-Lübeck) |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ვასილ კიკუტაძე, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო; |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | მაია ჭინჭარაშვილი, საქართველოს რკინიგზა, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | თამთა ცხოვრებაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | დავით კაკიაშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო |

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 |
|--|--|-----------------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი | სპორტის მენეჯმენტი |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში | სპორტის მენეჯმენტის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ¹ | - | - |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 | 120 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | პირობით აკრედიტებული, N1315323, 06.12.2021 | ახალი |

¹ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²**

ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა და სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა დაჯგუფებულია ერთ კლასტერში. საბაკალავრო პროგრამა 2021/2022 სასწავლო წლიდან მოქმედებს (კონკრეტულად, აკრედიტაციის შემდეგ მეორე სემესტრია). სამაგისტრო პროგრამამ ფუნქციონირება 2014 წელს დაიწყო ავტორიზებულ რეჟიმში და განახლდა 2022 - 2023 სასწავლო წელს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ჩატარდა 2024 წლის 5 და 6 თებერვალს და მოიცავდა ინტერვიუებს ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ექსპერტებმა ასევე შეძლეს ობიექტების, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაკვირვება.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ორივე პროგრამა

სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კლასტერში წარმოდგენილ პროგრამებს თან ახლდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკები.

² პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

- რეკომენდებულია სასწავლო გეგმის რუკის გადახედვა და ორივე პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა-სქემის ლოგიკურად დაკავშირება კურსის/კომპონენტის შესაბამის სასწავლო შედეგებთან.
- რეკომენდებულია სტუდენტების შეფასების სისტემის განახლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისად.
- რეკომენდებულია სტუდენტებისთვის მკაფიო მითითებების მიცემა ლიტერატურული წყაროების ციტირების შესახებ და სამაგისტრო ნაშრომში APA Style-ის წესების დაცვის უზრუნველყოფა.
- რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურმა, ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად, მუდმივად იმუშაოს სილაბუსებსა და სასწავლო გეგმებში გამოვლენილი სისუსტეების, უზუსტობების აღმოფხვრაზე, თვითშეფასების ანგარიშის შემუშავებისა და პროგრამის შეფასებისას.

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

- რეკომენდებულია ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკის შემუშავება.
- რეკომენდებულია გარკვეული კურსების სავალდებულო ლიტერატურის განახლება (ბულალტერიის საფუძვლები, ბიზნეს სამართალი, ადამიანური რესურსების მართვა, ოპერაციათა მენეჯმენტი, სპორტული მარკეტინგი) უახლესი ქართული გამოცემებით ან ქართული რიდერების მომზადება თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურისთვის.
- რეკომენდებულია კურსის „ლიდერობა“ შინაარსის კორექტირება მისი სათაურის შესაბამისად და რომ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ლიდერობის საკითხებს.
- მიუთითეთ, უცხო ენის ცოდნის კუთხით, პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები და/ან შექმენით კურსები, იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც ინგლისური ენა სათანადო დონეზე არ იციან.

პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

- რეკომენდებულია, გადახედოთ სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკას და ლოგიკურად გადმოსცეთ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესი.
- რეკომენდებულია, პროგრამაში შემავალი სასწავლო (სასწავლო კურსები), პრაქტიკისა და კვლევის (სამაგისტრო ნაშრომის) კომპონენტებზე დაშვების წინაპირობის დაზუსტება.
- რეკომენდებულია კონკრეტული კურსების სავალდებულო ლიტერატურის განახლება (მაგ., სპორტული ობიექტების სტრატეგიული მართვა, სპორტული ღონისძიებების სტრატეგიული მართვა, სპორტის სტრატეგიული მარკეტინგი).

- რეკომენდებულია კონკრეტული სასწავლო კურსების სახელებისა და შინაარსის ერთმანეთთან მისადაგება (მაგ. სპორტის სტრატეგიული მარკეტინგი, მენეჯერული ეკონომიკა სპორტში).
 - რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსის დიფერენცირება საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსისგან. ასევე, „თანამედროვე სპორტის მენეჯმენტის“ სილაბუსის გამოყოფა საბაკალავრო პროგრამის „სპორტის მენეჯმენტის“ კურსის სილაბუსისგან.
 - დააკონკრეტეთ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებული მოთხოვნები და/ან შექმენით კურსები იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ სპორტის მენეჯმენტის სფეროში საკმარისი ცოდნა/გამოცდილება.
 - განაახლეთ მაგისტრატურის პრაქტიკის სილაბუსი და მოიყვანეთ მაგისტრატურის დონესთან შესაბამისობაში.
- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, დაწესებულებამ კიდევ უფრო გაააქტიუროს მუშაობა პროგრამების შემუშავების პროცესში, რათა ეფექტურად გამოიყენოს კურსდამთავრებულთა და პოტენციური დამსაქმებლების რესურსები.
- სასურველია დაწესებულებამ მუდმივად განაახლოს შრომის ბაზრის დარგობრივი კვლევები, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე სპორტის მენეჯმენტის სპეციალისტებზე მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.
- სასურველია, თუკი პროგრამა გაითვალისწინებს უფრო ხანგრძლივ სტაჟირებას, სტაჟირებას სპორტულ ასოციაციებთან თანამშრომლობით და სტაჟირებას სადიპლომო ნაშრომთან ერთად.
- სასურველია სწავლებისა და სწავლის მეთოდების დივერსიფიკაცია კურსების სპეციფიკის შესაბამისად.
- სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რუბრიკების განახლება, რათა იყოს უფრო გამჭვირვალე და დეტალური.
- სასურველია სტუდენტების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ასევე გაცვლით პროგრამებში.
- სასურველია, დამსაქმებლების ჩართულობით, სტუდენტებისთვის სხვადასხვა სემინარის და ვორქშოპის ხელშეწყობა და ორგანიზება.
- სასურველია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეცვლის ინსტრუქციის შეტანა „სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმების დებულებაში“;
- სასურველია, რომ უსდ დაფიქრდეს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის ყოვლისმომცველი შეფასების დამატებითი

მექანიზმების შემუშავებაზე, ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტური განხორციელებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

- სასურველია, უსდ დაფიქრდეს დარგობრივი ექსპერტიზის მექანიზმები აკადემიური პერსონალის აყვანაზე და დამსაქმებლების მეტად ჩართულობაზე ვოქაშობების, ტრენინგებისა თუ სემინარების ჩასატარებლად.
- პერსონალის განვითარებისა და პრაქტიკული უნარების გასაძლიერებლად, მიზანშეწონილია სხვადასხვა ღონისძიებაში პრაქტიკის მეტი ექსპერტისა და შესაბამისი სპეციალისტების ჩართვა, შესაბამისი პერსონალის მოზიდვა პროექტის მენეჯმენტისა და სპორტული ღონისძიებების დაგეგმვის შესახებ ცოდნის გასაზიარებლად, რაც მიზნად ისახავს პერსონალისთვის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფას.
- უკეთესი იქნება, თუ სტუდენტებს ელექტრონულ საერთაშორისო ბაზებზე წვდომა ექნებათ არა მხოლოდ საუნივერსიტეტო ქსელიდან.

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

- სასურველია სასწავლო გეგმაში არსებული ტექნიკური უზუსტობების გამოსწორება;
- სასურველია პროგრამამ სტუდენტებს შესთავაზოს „სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები“ არჩევით კურსად.
- სილაბუსებში მოცემული ლიტერატურისთვის სასურველია მიუთითოთ გამოცემის წლები.

პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

- სასურველია გაიზარდოს არჩევითი კურსების ჩამონათვალი, რომლებიც დაკავშირებულია პროგრამის ძირითად სასწავლო სფეროსთან, როგორცაა: მენეჯერული აღრიცხვა და გადაწყვეტილების მიღება, ლოგისტიკის მენეჯმენტი სპორტში, რისკის მართვა სპორტში.
 - მიზანშეწონილია გადახედოთ გარკვეული კურსების სწავლის შედეგებს, კონკრეტულად თანამედროვე სპორტის მენეჯმენტის, სპორტული ეთიკის, სპორტში ლიდერობისა და სპორტის სტრატეგიული მარკეტინგის მიმართულებით, რათა ისინი უფრო მეტად შეესაბამებოდეს სამაგისტრო დონის პროგრამას.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)³
 - ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად, პროგრამის გუნდი იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიღებულ რეკომენდაციებს; აღსანიშნავია, რომ გარკვეული დასკვნები უკვე გათვალისწინებულია. თუმცა, რადგან ექსპერტები ვერ განიხილავენ ადგილზე ვიზიტის შემდეგ განხორციელებულ ცვლილებებს, ანგარიში უცვლელი რჩება.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საბაკალავრო პროგრამამ გაიარა განახლება, რათა შესაბამისობაში მოსულიყო 2021 წლის 6 დეკემბერს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებთან და რჩევებთან. მიმდინარე აკრედიტაციისთვის განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

1. მკაფიოდ გამოიკვეთა სწავლის შედეგების მიღწევაზე ორიენტირებული მესამე დონის (განმტკიცება) სასწავლო კურსები;
2. ბუღალტერიის სასწავლო კურსი შევიდა პროგრამის სავალდებულო მოდულში, რაც უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვის ფუნდამენტური საკითხების სრულყოფილ შესწავლას.
3. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულ შესაბამისობაში მოვიდა კვალიფიკაციის მოთხოვნებთან.
4. შესწორებები შევიდა კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებში - მენეჯმენტის საფუძვლები.
5. ფულადი სახსრების მოზიდვისა და სპონსორობის შესახებ შესაბამისი პროფილური სახელმძღვანელო (დევიდ შონკი, ჯეიმს ვეინერი, 2021, "გაყიდვები და შემოსავლების გენერირება სპორტულ ბიზნესში") დაემატა სპორტში გაყიდვებისა და ფულადი სახსრების მოზიდვის კურსის სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურის განყოფილებას.
6. „პროექტის მენეჯმენტის“ კურსის სილაბუსში გათვალისწინებულია MS Project-ის გამოყენებით პროექტების მართვის ტექნოლოგიური უზრუნველყოფის სპეციფიკა. დაემატა შესაბამისი ლიტერატურა (პროექტის მართვა MS პროექტის გამოყენებით: წიგნი მომხმარებლებისთვის, რომლებსაც სურთ ისწავლონ როგორ გამოიყენონ MS Project პროექტების დაგეგმვისა და მართვისთვის / Asmarizan & Zareena-ს მიერ. A Book for Users Who Wish to Learn How to use MS Project for Planning and Managing Projects / By Asmarizan & Zareena, 2021 და "ინფორმაციული ტექნოლოგიები პროექტის მენეჯმენტში", სალექციო კურსი , მ.თიკიშვილი, ჩ.ჯაფიაშვილი, 2020 წ.);
7. განახლდა პროგრამის სასწავლო კურსებში (ბიზნეს კომუნიკაციები, სპორტის ეკონომიკა, სპორტული მარკეტინგი, სტრატეგიული მენეჯმენტი) განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა.

8. ძირითადი თემების დუბლირების აღმოსაფხვრელად, გადაიხედა მენეჯმენტზე ორიენტირებული სასწავლო კურსების შინაარსი და დაზუსტდა ზოგიერთი კურსის შინაარსი და სწავლის შედეგი, რათა შესაბამისობაში ყოფილიყო კურსის სახელწოდებასთან.

9. შეფასების სისტემის გამჭვირვალობის ასამაღლებლად, განხორციელდა პროგრამის კურსების სილაბუსებში პრეზენტაციებისთვის განკუთვნილი შეფასების ქულების რეიტინგი და დაზუსტდა შეფასების კრიტერიუმები.

10. პროგრამის ცალკეულ სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდების დივერსიფიკაცია მოხდა თითოეული კურსის სპეციფიკასთან მათი უფრო მჭიდროდ ადაპტირებით (მაგალითად, კურსში „პროექტის მენეჯმენტი“ გათვალისწინებულია პროექტის ჩართვა მისი შედეგების შეფასების სისტემაში ასახვით).

11. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებები.

12. პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული ყველა ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურისთვის შეიქმნა ქართულენოვანი სასწავლო მასალა (რიდერი) და ეს მასალები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

13. სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად ამოქმედდება ხარისხის შიდა მონიტორინგის მექანიზმები.

გარდა ამისა, გათვალისწინებულია რამდენიმე რჩევაც.

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁴
2. კლასტერული შეფასება⁵

| სტანდარტი/კომპონენტი | შეფასების მიდგომები: |
|---|-----------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტის შეფასება | კლასტერული |
| 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | |

⁴**შეფასების მიდგომები:** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁵ **შეფასების მიდგომები:** საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|-----------------------------|
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | |
| 4.1. ადამიანური რესურსები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს („სფასსსუ“) აქვს ფიზიკური აღზრდის სწავლების დიდი გამოცდილება. უნივერსიტეტის არაერთმა კურსდამთავრებულმა მიაღწია გამორჩეულ შედეგებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. სპორტი საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა. მანამდე სპორტთან დაკავშირებულ თითქმის ყველა საკითხს მთავრობა მართავდა. ახლა დაფუძნებულია არაერთი კლუბი და ასოციაცია, რომლებიც საქართველოში სპორტის ადმინისტრირებას ახორციელებენ. თუმცა, მათ აკლიათ კვალიფიციური მენეჯერები.

აქედან გამომდინარე, ძალიან ლოგიკურია, რომ ფიზიკურ განათლებაში კვალიფიცირებული დაწესებულება შემოთავაზებულ პროგრამებს უმატებს მენეჯმენტის განათლებას და პროგრამები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ხედვას. „სფასსსუ“ დაუკავშირდა საერთაშორისოდ აღიარებულ რამდენიმე დაწესებულებას. მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე შემუშავდა წინამდებარე პროგრამები.

პროგრამის მიზანია ადგილობრივი თუ საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის სფეროებში სამუშაოდ, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირისთვის განათლების მიწოდება, რომელსაც ექნება ზოგადი განათლება, სამოქალაქო მსოფლმხედველობა და სოციალური პასუხისმგებლობა. პროგრამის მიზანი მნიშვნელოვანია. ადგილზე ვიზიტის დროს გამოკითხულმა, არაერთი ორგანიზაციის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ ისინი ეძებენ ამ პროგრამების კურსდამთავრებულს.

სკოლის გამოცდილების გათვალისწინებით, დასახული მიზნები რეალური და მიღწევადია. ისინი ითვალისწინებენ სასწავლო სფეროს სპეციფიკას და ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს. გარდა ამისა, მიზნების შესახებ ინფორმირებულნი არიან პროგრამაში ჩართული პირები. ეს მოწმობს, რომ სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამები შეესაბამება უნივერსიტეტების მისიას, ხედვასა და სტრატეგიას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)⁶

შეფასებული საბაკალავრო პროგრამა შედგება საბაზისო ბიზნეს კურსებისა და სპორტთან დაკავშირებული კურსების ნაკრებისგან. ამ ლექციებზე დასწრებით სტუდენტები, ერთის მხრივ, დაეუფლებიან ბიზნესის საფუძვლებს. მეორეს მხრივ, ისინი ასევე ეცნობიან სპორტის სამყაროს. იდეალურ შემთხვევაში, ეს ცოდნა შეიძლება დაემატოს წარმატებული სპორტსმენის გამოცდილებას (ფაქტობრივად, სტუდენტების მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ეს გამოცდილება აქვს). ეს უკვე მისცემს კურსდამთავრებულებს კვალიფიკაციას, რომ იმუშაონ მრავალ პოზიციაზე სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)⁷

სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია როგორც თანმიმდევრული პროგრამა. იგი ეფუძნება შესაბამის საბაკალავრო პროგრამას. მაგისტრანტები დამატებით კომპეტენციებს მიიღებენ ორი გზით. ერთს მხრივ იმ კუთხით, რომ დამატებითი მიზანი გააფართოვებს სტუდენტების ცოდნას. მეორეს მხრივ, სტუდენტები გაივლიან სწავლებას კვლევის მეთოდებში და საბოლოოდ დაწერენ სამეცნიერო ნაშრომს. შედეგად, მაგისტრანტები განსწავლულნი იქნებიან, რათა შეიმუშაონ საკუთარი კონცეფციები სპორტის მენეჯმენტის სფეროში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

⁶ აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

გთხოვთ, გაიმეოროთ აღწერილობისა და ანალიზის ველი პროგრამების რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელი, საფეხური), პროგრამა 3 (სახელი, საფეხური) და ა.შ. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ მითითების ეს ფორმატი ყოველი მომდევნო კომპონენტის შეფასებისას).

⁷ აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კონკრეტული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

გთხოვთ, გაიმეოროთ აღწერილობისა და ანალიზის ველი პროგრამების რაოდენობის მიხედვით, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელი, საფეხური), პროგრამა 3 (სახელი, საფეხური) და ა.შ. (გთხოვთ, გაითვალისწინოთ მითითების ეს ფორმატი ყოველი მომდევნო კომპონენტის შეფასებისას).

- მოწოდებული მასალა, დისკუსია უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან და დასტური დარგის ექსპერტების მხრიდან.

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება ⁸

| კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო და სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამები ლოგიკურად არის

⁸შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

დაკავშირებული ერთმანეთთან და მათი სწავლის შედეგები შემუშავებულია დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან კონსულტაციით. წარმოდგენილი პროგრამები შეესაბამება მოქმედ დარგობრივ მახასიათებლებსა და კრიტერიუმებს, კვალიფიკაციის დონის გათვალისწინებით.

კლასტერში წარმოდგენილ პროგრამებს ინფორმაციულად ავსებს 2020 წელს ჩატარებული „საქართველოს სპორტის სფეროში დასაქმებული სპორტის მენეჯერების ბაზრის კვლევა“. ამკარაა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის უახლესი; თუმცა, ის დიდწილად ასახავს დარგის მოთხოვნებს, შეესაბამება აღნიშნული პროგრამების სწავლის შედეგებს. შესაბამისად, მიზანშეწონილია დაწესებულებამ თანმიმდევრულად განაახლოს შრომის ბაზრის დარგობრივი კვლევები. ეს პრაქტიკა ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე სპორტის მენეჯმენტის სპეციალისტების მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.

დამსაქმებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ გააჩნიათ მნიშვნელოვანი პოტენციალი და მზადყოფნა, რომ უფრო აქტიური როლი შეასრულონ როგორც პროგრამების შემუშავებაში, ასევე განხორციელებაში. ამიტომ, სასურველია, დაწესებულებამ კიდევ უფრო გააძლიეროს თავისი ძალისხმევა პროგრამის შემუშავების პროცესში და ეფექტურად გამოიყენოს კურსდამთავრებულთა და პოტენციური დამსაქმებლების რესურსები.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კლასტერში წარმოდგენილ პროგრამებს არ გააჩნიათ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების დეტალური აღწერა. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით, ასეთი რუკები გადამწყვეტი მნიშვნელობის კრიტერიუმია პროგრამის შედეგების შესაფასებლად. რეკომენდებულია, კლასტერში წარმოდგენილ პროგრამებს თან ახლდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების დეტალურად ამსახველი რუკები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. კრიტიკული გაგებით მსჯელობს მენეჯმენტის სფეროს თეორიებსა და პრინციპებზე;
2. აგროვებს და აანალიზებს ბიზნესის ადმინისტრირებასა და მართვასთან დაკავშირებულ მონაცემებს, ინფორმაციას;
3. თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით შეიმუშავებს პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს/პროექტს, რომელიც დაკავშირებულია მენეჯმენტის, მათ შორის, სპორტის სფეროსთან;
4. ამზადებს წერილობით ანგარიშს პრობლემის აღწერით და მისი გადაჭრის გზების მითითებით;

5. განმარტავს, თუ როგორ მოქმედებს მენეჯმენტის მიდგომები სპორტული ორგანიზაციებისა და სპორტის ინდუსტრიის ყველა ასპექტზე;
6. გამოავლენს სპორტული ორგანიზაციების აქტუალურ პრობლემებს და მართვის სტრატეგიებს, რომლებიც საჭიროა სპორტული ბიზნესის გამოწვევების გადასაჭრელად;
7. აღწერს და განმარტავს ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროსთან დაკავშირებულ სიტუაციურ მაგალითებს სოციალური, სამეცნიერო და ეთიკური საკითხების გათვალისწინებით;
8. სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს აწვდის სფეროსთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციას წერილობით, თანამედროვე საშუალებების გამოყენებით და ზეპირად.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის კურსდამთავრებულების მიერ მიღწეულ ცოდნასა და კომპეტენციებს. ეს შედეგები ლოგიკურად სტრუქტურირებული, გაზომვადი და რეალისტურია. ისინი ადეკვატურად მოიცავს მენეჯმენტში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაციის მოთხოვნებს, ბაკალავრის კვალიფიკაციის დონის შესაბამისად. გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგები ჰარმონიაში არსებული პროფილის დარგობრივ მახასიათებლებთან. ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამას აკლია პროგრამის სწავლის შედეგების (კურიკულუმის) რუკა. თუმცა, ეს ინფორმაცია ექსპერტებმა მოითხოვეს დამატებითი დოკუმენტების სახით და მოწოდებული იქნა დაწესებულების მიერ ადგილზე ვიზიტის დროს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. სპორტული ინდუსტრიის ცნებებისა და თეორიების კრიტიკულ ანალიზზე დაყრდნობით, გამოავლენს სპორტის ინდუსტრიაში არსებულ პრობლემებს და ავითარებს ბიზნეს მოდელებს.
2. ფლობს მენეჯერული ეკონომიკის მეთოდოლოგიურ მიდგომებს და აფასებს სპორტის ეკონომიკის/ინდუსტრიის გავლენას ეკონომიკაზე.
3. ფლობს სპორტული ინდუსტრიისთვის სპეციფიკურ ფინანსური მენეჯმენტის ინსტრუმენტებს.
4. სპორტის ინდუსტრიაში საქმიანი გადაწყვეტილებების მიღებისას, მოქმედებს შესაბამისი სამართლებრივი და ეთიკური ნორმების დაცვით.
5. შეიმუშავებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას სპორტული ორგანიზაციებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით.
6. შეიმუშავებს მარკეტინგულ გეგმას და განვითარების სტრატეგიას სპორტის სფეროს ბაზრის ანალიზის საფუძველზე.
7. ესმის სპორტული ღონისძიებების ჩატარების წესები და იყენებს ეფექტურ მიდგომებს ამ პროცესის მართვაში.

8. შეიმუშავებს მოდელებს სპორტული დაწესებულებების ფუნქციონირების ეფექტური მართვისთვის.
9. დამოუკიდებლად ასრულებს კვლევით პროექტს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, შედეგების არგუმენტირებული დემონსტრირებით.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს პროგრამის კურსდამთავრებულების მიერ მიღწეულ ცოდნასა და კომპეტენციებს. ეს შედეგები ლოგიკური, გაზომვადი და რეალისტურია. ისინი აკმაყოფილებენ სპორტის მენეჯმენტის კვალიფიკაციის მოთხოვნებს და შეესაბამება მაგისტრის კვალიფიკაციის დონეს. გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგები ჰარმონიაშია დარგობრივ მახასიათებლებთან. სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას ახლავს პროგრამის სწავლის შედეგების (კურიკულუმის) რუკა, რომელიც ასახავს, თუ როგორ არის დაკავშირებული პროგრამის სავალდებულო კურსები სწავლის შედეგების მიღწევასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა
- კურიკულუმების რუკები პროგრამებისთვის;
- დამსაქმებლებთან და პროგრამის კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები მოიცავდეს და მათ თან ახლდეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკები.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, დაწესებულებამ კიდევ უფრო გაააქტიუროს მუშაობა პროგრამების შემუშავების პროცესში, რათა ეფექტურად გამოიყენოს კურსდამთავრებულთა და პოტენციური დამსაქმებლების რესურსები.
- სასურველია დაწესებულებამ მუდმივად განაახლოს შრომის ბაზრის დარგობრივი კვლევები, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე სპორტის მენეჯმენტის სპეციალისტებზე მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: რეკომენდებულია ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკის შემუშავება.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: რეკომენდებულია, გადახედოთ სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკას და ლოგიკურად გადმოსცეთ პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესი.

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- > განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან.
- > პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას და მონიტორინგს კოორდინაციას უწევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სასწავლო და

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება შეფასების როგორც პირდაპირი, ისე ირიბი მეთოდები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტში მოცემულია შეფასების ფორმები და მეთოდები, ასევე სტუდენტის მიერ სწავლის თითოეული შედეგის მიღწევების სამიზნე ნიშნულები.

სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ელექტრონული გამოკითხვები და ფოკუს-ჯგუფები, ასევე სტუდენტების თვითშეფასება, რათა ხელახლა შემოწმდეს პროგრამით განვითარებული კომპეტენციების აქტუალობა და გამოყენება.

უკუკავშირის სქემები საკმარისია და კარგად არის შემუშავებული. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. უსდ უზრუნველყოფს შედეგების რეგულარულ შეფასებას და მონიტორინგს და შედარებას სამიზნე ნიშნულებთან. ასევე უზრუნველყოფს პროცედურას, რომელიც მოიცავს შეფასების შედეგებს პროგრამის სათანადო გაუმჯობესებისთვის. პროგრამის პერსონალმა შეიმუშავა სასწავლო გეგმის რუკა-სქემის ხედვა, თუ როგორ უკავშირდება კურსები პროგრამების სწავლის შედეგებს, რაც გულისხმობს ბაკალავრიატისა და სამაგისტრო პროგრამის ყველა სტუდენტის შესაძლებლობას, მიაღწიონ პროგრამების სწავლის შედეგებს პროგრამის სავალდებულო კურსების/ კომპონენტების მეშვეობით.

თუმცა, სწავლის შედეგების მიღწევის ლოგიკა გარკვეულ შემთხვევებში ბუნდოვანია, განსაკუთრებით „გაცნობა-გაღრმავება-განმტკიცება“ კონტექსტში. მაგალითად, ორივე პროგრამის სტაჟირების სწავლის შედეგები შეესაბამება ამ პროგრამების მხოლოდ რამდენიმე სწავლის შედეგს; ისინი კი ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ სათანადოდ დაკავშირებული იყოს სილაბუსთან და სწავლის შედეგების რუკასთან. სამაგისტრო პროგრამის 2, 4, 5, 6, 7, 8 ან 9 სწავლის შედეგებს აკლია ამ შედეგების თანმიმდევრულობა და ლოგიკური განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამები და სილაბუსები;
- სწავლის შედეგების მექანიზმები;
- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- ინტერვიუების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო გეგმის რუკის გადახედვა და ორივე პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა-სქემის ლოგიკურად დაკავშირება კურსის/კომპონენტის შესაბამის სასწავლო შედეგებთან.

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო და სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამები შედგენილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამების სტრუქტურები შეესაბამება კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოს და სწავლის სფეროების კლასიფიკატორს. ამასთან, უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი, რომლის მიხედვითაც მუშავდება კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილია 240 კრედიტის მოცულობით, ხოლო სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს. პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული არიან პოტენციური დამსაქმებლები; თუმცა, დაწესებულებას შეუძლია გამოიყენოს თავისი რესურსები უფრო ეფექტურად, რადგან თავად დამსაქმებლებს სურთ მეტი წვლილის შეტანა (გთხოვთ, იხილოთ შესაბამისი დასკვნა, რომელიც მითითებულია 1.2 კომპონენტში). აღნიშნული პროგრამების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, რითაც უზრუნველყოფილია პროგრამების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს 240 კრედიტს და წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- ძირითადი სასწავლო დარგის სავალდებულო სასწავლო კურსები 130 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტები - სავალდებულო სასწავლო კურსები - 40 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტები - არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი;
- ძირითადი სასწავლო დარგის არჩევითი სასწავლო კურსები - 40 კრედიტი;
- პრაქტიკის კომპონენტი (სტაჟირება) - 10 კრედიტი.

ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამის ფარგლებში კურსები ლოგიკურად არის დალაგებული და მათი შინაარსი კარგად არის განვითარებული. თუმცა, სასწავლო გეგმაში არის გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, როგორცაა საინფორმაციო ტექნოლოგიები 1 და 2-ის 10 კრედიტიან კურსებად არსებობა, მაშინ როდესაც კურსის სილაბუსებში მითითებულია 5 ECTS კრედიტი. გარდა ამისა, სასწავლო გეგმაში პრაქტიკულ კომპონენტზე დაშვების წინაპირობა არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ ის ნათლად არის წარმოდგენილი პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსში, სხვა საკითხებთან ერთად. ამიტომ, სასურველია პროგრამის სასწავლო გეგმაში არსებული ტექნიკური უზუსტობების გათვალისწინება და გამოსწორება.

გასათვალისწინებელია, რომ პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებს მიაჩნიათ, რომ კურსდამთავრებულებისთვის სასარგებლო იქნება სწავლის გაღრმავება სახელმწიფო ფინანსებისა და სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით. პროგრამის ფარგლებში, სასურველია, სტუდენტებს შესთავაზოთ სასწავლო კურსი „საჯარო ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები“, არჩევითი კურსის სახით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა შექმნილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს 120 კრედიტს და წარმოდგენილია შემდეგნაირად:

- ძირითადი სასწავლო დარგის სავალდებულო სასწავლო კურსები - 75 კრედიტი;
- ძირითადი სასწავლო დარგის არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი;
- პრაქტიკის კომპონენტი - 10 კრედიტი
- კვლევის კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) - 20 კრედიტი.

სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის შინაარსი შექმნილია ისე, რომ კურსდამთავრებულები მოამზადოს სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამისთვის. წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურა, გარდა საგანმანათლებლო კომპონენტისა, მოიცავს პრაქტიკულ და კვლევით ელემენტებს.

პროგრამის სტრუქტურაში არის გარკვეული უზუსტობები, რომლებიც გადახედვას საჭიროებს. კონკრეტულად, პროგრამაში შემავალი საგანმანათლებლო, პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებში საჭიროა დაზუსტდეს მომდევნო კომპონენტზე დაშვების წინაპირობები. ამგვარად, რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურის ფარგლებში საგანმანათლებლო (სასწავლო კურსები), პრაქტიკულ და კვლევით (სამაგისტრო ნაშრომის) კომპონენტებზე დაშვების წინაპირობების დაზუსტება. გარდა ამისა, სასურველია გაფართოვდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი პროგრამის ძირითად სასწავლო სფეროში, რათა მოიცავდეს ისეთ კურსებს, როგორცაა მენეჯერული აღრიცხვა და გადაწყვეტილების მიღება, ლოგისტიკის მენეჯმენტი სპორტში და რისკის მართვა სპორტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა;
- სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების და გაუქმების პროცედურის მეთოდოლოგია;
- პროგრამის მონაწილეებთან გასაუბრების შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <http://sportuni.ge>.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

რჩევები:

- სასურველია სასწავლო გეგმაში არსებული ტექნიკური უზუსტობების გამოსწორება;
- სასურველია პროგრამამ სტუდენტებს შესთავაზოს „სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები“ არჩევით კურსად.

პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამაში შემავალი სასწავლო (სასწავლო კურსები), პრაქტიკისა და კვლევის (სამაგისტრო ნაშრომის) კომპონენტებზე დაშვების წინაპირობის დაზუსტება.

რჩევები:

- სასურველია გაიზარდოს არჩევითი კურსების ჩამონათვალი, რომლებიც დაკავშირებულია პროგრამის ძირითად სასწავლო სფეროსთან, როგორცაა: მენეჯერული აღრიცხვა და გადაწყვეტილების მიღება, ლოგისტიკის მენეჯმენტი სპორტში, რისკის მართვა სპორტში.

შეფასება

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---|---|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სილაბუსების შინაარსი, ასევე კრედიტების რაოდენობა ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო და სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამებისთვის ძირითადად მორგებულია განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე. თუმცა, არის გარკვეული უზუსტობები, რომლებიც დაკავშირებულია კურსის შინაარსთან, განახლებული ლიტერატურის გამოყენებასთან, კურსების სახელებთან და სხვა საკითხებთან, რომლებიც საჭიროებს განმარტებას. საბაკალავრო პროგრამაში სასწავლო კურსები წარმოდგენილია 5 კრედიტიან კურსად, სამაგისტროში კი 5 და 6 კრედიტიან კურსებად. კურსების ფარგლებში საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განაწილება საკმარისია, კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ინდივიდუალური სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება თითოეული კურსის სწავლის შედეგს და ხელს უწყობს საერთო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებას. ვინაიდან საბაკალავრო პროგრამა ტარდება ქართულ ენაზე, პროგრამის კურსების სილაბუსები შეიცავს როგორც ქართულ სახელმძღვანელოებს, ასევე ქართულ ენაზე შექმნილ რიდერებს. თუმცა, გარკვეული სასწავლო კურსებისთვის აუცილებელია სავალდებულო ლიტერატურის განახლება ახალი გამოცემებით. მაგალითად, რეკომენდებულია სავალდებულო ლიტერატურის განახლება ქართულ ენაზე არსებული უახლესი გამოცემებით ისეთი კურსებისთვის, როგორცაა ბუღალტერიის საფუძვლები, ბიზნეს სამართალი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, ოპერაციების მენეჯმენტი, სპორტული მარკეტინგი და სპორტის მენეჯმენტი; ან უნდა მომზადდეს თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურის რიდერები. გარდა ამისა, ზოგიერთი კურსისთვის აუცილებელია გამოცემის წლების მითითება ლიტერატურაში (მაგ., სპორტული ბიზნესის მენეჯმენტი). ასევე, ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი უნდა გადაიხედოს კურსის სახელწოდებასთან მიმართებით; მაგალითად, რეკომენდებულია სასწავლო კურსის „ლიდერობა“ შინაარსის კორექტირება, რათა უფრო მეტი ყურადღება გამახვილდეს ლიდერობის საკითხებზე.

წარმოდგენილი კურსების სილაბუსები აფასებს სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული კურსის ფარგლებში გამოყოფილი კრედიტებისა და საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს და მოწმობს რომ საკმარისია მათ მისაღწევად.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სილაბუსები მორგებულია წინასწარ განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევაზე. კრედიტები ლოგიკურად არის განაწილებული, საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების განაწილება კი მიზნობრივია. პროგრამის სამაგისტრო დონისა და ინგლისური ენის ცოდნის წინაპირობის გათვალისწინებით, კურსების სილაბუსებში ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა.

მართალია, ექსპერტებს აქვთ კონკრეტული მოსაზრებები სასწავლო კურსის გარკვეული სილაბუსების შესახებ, თუმცა განსაკუთრებით რეკომენდებულია რელევანტური კურსების განახლება (სპორტული ობიექტების სტრატეგიული მართვა, სპორტული ღონისძიებების სტრატეგიული მენეჯმენტი, სტრატეგიული სპორტული მარკეტინგი). გარდა ამისა, რეკომენდებულია კონკრეტული სასწავლო კურსების სახელებსა და შინაარსს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფა (მაგ., „სპორტის სტრატეგიული მარკეტინგის“ შინაარსი მსგავსად წარმოდგენილია საბაკალავრო პროგრამის „სპორტულ მარკეტინგში“, რომელიც ფოკუსირებულია სპორტის სტრატეგიული მარკეტინგის საკითხებზე.) გარდა ამისა, კურსს -

„მენეჯერული ეკონომიკა სპორტში“- აკლია სპორტის სპეციფიკა და წარმოადგენს კლასიკური მენეჯერული ეკონომიკის ლიტერატურას და საკითხებს.

სასურველია, სწავლის შედეგების საფუძვლიანი გადახედვა, რადგან ზოგიერთ სასწავლო კურსს აქვს შეზღუდული სწავლის შედეგები, რომლებიც საჭიროებს გაფართოებას და ისინი უკეთესად უნდა შეესაბამებოდეს სამაგისტრო განათლების საფეხურს (მაგ., თანამედროვე სპორტის მენეჯმენტი, სპორტული ეთიკა, ლიდერობა სპორტში, სპორტის სტრატეგიული მარკეტინგი). გარდა ამისა, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსი განსხვავდება საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილისგან, ხოლო „თანამედროვე სპორტის მენეჯმენტის“ სილაბუსი განსხვავდება სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის კურსისგან.

კურსების სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა დამოწმებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. სწავლის შედეგების მიღწევის გასაადვილებლად, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომას ლიტერატურაზე, ქართულენოვან სახელმძღვანელოებზე, ასევე ქართულ თარგმანებზე, ზოგიერთ შემთხვევაში კი უზრუნველყოფს ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოების ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი
- ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა
- სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა
- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების და გაუქმების პროცედურის მეთოდოლოგია
- პროგრამის მონაწილეებთან გასაუბრების შედეგები
- გასაუბრება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: <http://sportuni.ge>

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია გარკვეული კურსების სავალდებულო ლიტერატურის განახლება (ბუღალტერიის საფუძვლები, ბიზნეს სამართალი, ადამიანური რესურსების მართვა, ოპერაციათა მენეჯმენტი, სპორტული მარკეტინგი) უახლესი ქართული გამოცემებით ან ქართული რიდერების მომზადება თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურისთვის.

- რეკომენდებულია კურსის „ლიდერობა“ შინაარსის კორექტირება მისი სათაურის შესაბამისად და რომ უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ლიდერობის საკითხებს.

რჩევები:

- სილაბუსებში მოცემული ლიტერატურისთვის სასურველია მიუთითოთ გამოცემის წლები.

პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კონკრეტული კურსების სავალდებულო ლიტერატურის განახლება (მაგ., სპორტული ობიექტების სტრატეგიული მართვა, სპორტული ღონისძიებების სტრატეგიული მართვა, სპორტის სტრატეგიული მარკეტინგი).
- რეკომენდებულია კონკრეტული სასწავლო კურსების სახელებისა და შინაარსის ერთმანეთთან მისადაგება (მაგ. სპორტის სტრატეგიული მარკეტინგი, მენეჯერული ეკონომიკა სპორტში).
- რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსის დიფერენცირება საბაკალავრო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სილაბუსისგან. ასევე, „თანამედროვე სპორტის მენეჯმენტის“ სილაბუსის გამოყოფა საბაკალავრო პროგრამის „სპორტის მენეჯმენტის“ კურსის სილაბუსისგან.

რჩევები:

- მიზანშეწონილია გადახედოთ გარკვეული კურსების სწავლის შედეგებს, კონკრეტულად თანამედროვე სპორტის მენეჯმენტის, სპორტული ეთიკის, სპორტში ლიდერობისა და სპორტის სტრატეგიული მარკეტინგის მიმართულებით, რათა ისინი უფრო მეტად შეესაბამებოდეს სამაგისტრო დონის პროგრამას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--------------------------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
|--------------------------------------|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|

| | | | | |
|---|--------------------------|-------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---------------------------------|---|---|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის მახასიათებლებს და უზრუნველყოფს ისეთი სტუდენტების მიღებას, რომელთაც აქვთ პროგრამის ათვისებისთვის შესაბამისი ცოდნა, უნარები და კომპეტენციები; ისინი შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას და ზოგადად ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს, განათლების დონეს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების ენას. უსდ-მ განსაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს. ასევე შეიძლება ითქვას,

რომ დაშვების წინაპირობები არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი, თუმცა, გარკვეულ ასპექტებში, დაშვების წინაპირობები დეტალურად უნდა იყოს დაზუსტებული.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

დაზუსტებული უნდა იყოს საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები უცხო ენების ცოდნის კუთხით. სტრუქტურაში მითითებულია, რომ უსდ-ში სტუდენტები ინგლისურს იწყებენ B1 დონიდან (რაც გონივრულია, რადგან სპორტის მენეჯმენტის მრავალი სახელმძღვანელო გამოქვეყნებულია მხოლოდ ინგლისურ ენაზე). თუმცა, შესაძლოა არსებობდნენ სხვა ენების (მაგ. რუსული ან გერმანული) ცოდნის მქონე აპლიკანტები. უსდ-ს უნდა ჰქონდეს ფორმალიზებული და მკაფიოდ აღწერილი მექანიზმი, თუ როგორ იღებენ ასეთ სტუდენტებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა ღიაა ბაკალავრის ხარისხის მქონე ნებისმიერი სტუდენტისთვის. ვინაიდან სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია როგორც თანმიმდევრული პროგრამა, სამაგისტრო პროგრამის კურსები საჭიროებს ბაკალავრიატში შეძენილ უნარებს. მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის მქონე სტუდენტს, რომელმაც ბაკალავრიატის დონეზე განათლება მიიღო სპორტის მენეჯმენტზე კონცენტრაციის გარეშე, არ ექნება შესაბამისი წინაპირობები, რომ ისწავლოს სამაგისტრო პროგრამის სპორტულ კურსებზე. შესაბამისად, დეტალურად უნდა გაიწეროს პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები და შემუშავდეს სტრატეგია ასეთ პრობლემასთან გასამკლავებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დისკუსია ფაკულტეტთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: მიუთითეთ, უცხო ენის ცოდნის კუთხით, პროგრამაზე დაშვების მოთხოვნები და/ან შექმენით კურსები, იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც ინგლისური ენა სათანადო დონეზე არ იციან.

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: დააკონკრეტეთ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებული მოთხოვნები და/ან შექმენით კურსები იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ სპორტის მენეჯმენტის სფეროში საკმარისი ცოდნა/გამოცდილება.

რჩევები: არცერთი

შეფასება

| კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგებისა და განათლების დონის მიხედვით, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების აკადემიური პრაქტიკული უნარების განვითარებას და – მაგისტრატურაზე – სამეცნიერო კვლევით პროექტებში მათ ჩართვას. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი წარმოდგენილია 10 კრედიტიანი სტაჟირებით და – სამაგისტრო პროგრამაზე სადიპლომო ნაშრომით. პრაქტიკული კომპონენტისა და/ან სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას.

ეს კონცეფცია კარგი მიდგომაა. თუმცა, უსდ-მ უნდა განიხილოს ორივე პროგრამის სტაჟირებისა და კვლევითი ეტაპის გაფართოება, ორი მიზეზის გამო. ერთის მხრივ, განათლება უფრო მეტად პრაქტიკულ გამოყენებაზე იქნება ორიენტირებული და გაზრდის კურსდამთავრებულთა სამომავლო დასაქმების შესაძლებლობებს. მეორეს მხრივ, ეს საშუალებას მისცემს უსდ-ს დაამყაროს მჭიდრო კავშირები სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რათა გაიზიაროს პრაქტიკოსის გამოცდილება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის ბაკალავრიატი)

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამის სტუდენტებისა და უსდ-სთვის უფრო ხელსაყრელი იქნება საბაკალავრო პროგრამაში სტაჟირების ეტაპის გაფართოება; ეს ეტაპი უნდა იყოს უფრო ხანგრძლივი და განხორციელდეს ასოციაციებთან და სპორტულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით. ასევე, შესაძლებელია რომ დაფიქრდეთ სტაჟირებისა და სადიპლომო ნაშრომის გაერთიანებაზე საბაკალავრო პროგრამაში, რაც ხელს შეუწყობს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

როგორც ზემოთ აღინიშნა, პროგრამის სტუდენტებისა და უსდ-სთვის უფრო ხელსაყრელი იქნება სამაგისტრო პროგრამაში სტაჟირების ეტაპის გაფართოება; ეს ეტაპი უნდა იყოს უფრო ხანგრძლივი და განხორციელდეს ასოციაციებთან და სპორტულ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით. ამით უფრო მეტი ახალი სფერო გაიხსნება სადიპლომო ნაშრომებისთვის, რომლებიც დღეს უმეტესად სპორტის მარკეტინგზეა ფოკუსირებული. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტაჟირების სილაბუსები ერთი და იგივე იყო, ამიტომაც ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებისგან დამატებით გამოითხოვა სამაგისტრო პროგრამის სტაჟირების სილაბუსი. წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის შემდეგ, კვლავ რეკომენდებულია, სამაგისტრო პრაქტიკის სილაბუსის განახლება და მაგისტრატურის საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დისკუსია ფაკულტეტთან და პროგრამის ხელმძღვანელთან.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- სასურველია, თუკი პროგრამა გაითვალისწინებს უფრო ხანგრძლივ სტაჟირებას, სტაჟირებას სპორტულ ასოციაციებთან თანამშრომლობით და სტაჟირებას სადიპლომო ნაშრომთან ერთად.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: განახლებული მაგისტრატურის პრაქტიკის სილაბუსი და მოიყვანეთ მაგისტრატურის დონესთან შესაბამისობაში.

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

| კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება- სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემიური კურსების უმეტესობის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლის საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. უმეტეს შემთხვევაში, სწავლებისა და სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ურთიერთქმედებას როგორც სტუდენტებს, ასევე სტუდენტებსა და პერსონალს შორის სათანადო ავტონომიითა და პასუხისმგებლობით.

თუმცა, უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია კრიტიკულად განიხილოს სწავლებისა და სწავლის გამოყენებული მეთოდები. როგორც ზემოთ აღინიშნა, სწავლებისა და სწავლის არსებული მეთოდები ადეკვატურად შეიძლება შეფასდეს. თუმცა, მიუხედავად ამისა, სხვა მიდგომების საშუალებით (ჯგუფური დავალებები, პროექტები, ნაშრომების წერა) სტუდენტები შეიძლება აღმოჩნდნენ სხვაგვარ სასწავლო სიტუაციებში, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს შეიძინონ

დამატებითი უნარები (მაგ. მოხსენების წერა, გუნდის მართვა, დროის მენეჯმენტი, დამოუკიდებელი კვლევა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დისკუსიები ფაკულტეტთან და პროგრამის ხელმძღვანელთან

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია გამრავალფეროვნდეს სწავლებისა და სწავლის მეთოდები კურსების სპეციფიკის შესაბამისად.

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცია(ები): არ არის მითითებული

რჩევა(ები):

პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

რეკომენდაცია(ები): არ არის მითითებული

რჩევა(ები):

შეფასება

| კომპონენტი 2.3 სწავლებისა და სწავლის მეთოდები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, (ბაკალავრიატი) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, (მაგისტრატურა) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების შეფასება ხორციელდება საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დებულებით განსაზღვრული პრინციპების, წესებისა და პროცედურების შესაბამისად. სასწავლო პროცესის რეგულირების მე-11 მუხლში, რომელიც ეხება სტუდენტთა მიღწევების შეფასებას, მე-5 პუნქტში მითითებულია შეფასების სისტემის ტიპები, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსების უმეტესობაში მოცემულია შეფასების სისტემის ტიპი, როგორცაა:

ფინალური შეფასებები

დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91 ქულა და მეტი;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასება:

- (FX)- ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება ჩასაბარებლად და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F)- ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 და ნაკლები ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს საგანი.

ამავე დროს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია, რომ:

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- (C) კარგი - 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

შეფასების სისტემა ასევე მოიცავს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ჩაიჭრა გადაბარების უფლებით - 41-50 ქულა. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება ჩასაბარებლად და შეუძლია ერთხელ გავიდეს დამატებით გამოცდაზე დამოუკიდებელი მუშაობით. სტუდენტს უფლება აქვს იმავე სემესტრში ჩააბაროს დამატებითი გამოცდა;

(F) ჩაიჭრა - 40 ქულა ან ნაკლები. ეს მიუთითებს, რომ სტუდენტის მუშაობა არასაკმარისია და მოეთხოვება საგნის ხელახლა გავლა.

შესაბამისად, რეკომენდებულია სტუდენტების შეფასების სისტემის განახლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის No.3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისად.

ვიზიტის დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორი მათ აძლევდა უკუკავშირს დადებითი და უარყოფითი ასპექტებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ. შესაბამისი უკუკავშირი მოწოდებულია ონლაინ სისტემის „START“ მეშვეობით. სტუდენტს ზემოაღნიშნულ გამოხმაურებაზე წვდომა აქვს ონლაინ სისტემის "Student Sportuni" მეშვეობით.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს აქვთ უნივერსიტეტის მიერ დაარსებული სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, პრეზენტაციისა და შეფასების ინსტრუქციები. სამაგისტრო ნაშრომი არის კვლევითი დოკუმენტი, რომელსაც მაგისტრანტი ახორციელებს სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. ნაშრომის საშუალებით ხდება მაგისტრანტის კვლევითი უნარების წარმოჩენა, კვლევის დამოუკიდებლად ჩატარების, ჩამოყალიბების, სტრუქტურირების, საჯაროდ წარდგენისა და დაცვის უნარები. სამაგისტრო ნაშრომს ინდივიდუალურად ასრულებს მაგისტრანტი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სათანადო მითითებების გათვალისწინებით. მაგისტრანტი ირჩევს სამაგისტრო დისერტაციის ხელმძღვანელს მისი კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე. ხელმძღვანელის დამტკიცების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომის დასახელება ამ ორი პირის მიერ წყდება. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი დეკანს წარუდგენს შერჩეული სამაგისტრო ნაშრომის სახელწოდებას და ხელმძღვანელს (არაუგვიანეს მე-4 სემესტრის 1 კვირისა). სამაგისტრო დისერტაციების დაცვის კომისიას ქმნის ფაკულტეტის დეკანი. კომისია უნდა შედგებოდეს მინიმუმ სამი წევრისგან. თითოეული მათგანი ვალდებულია დაესწროს დაცვის პროცესს. სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი დებულებების გასაცნობად მაგისტრანტი აკეთებს მაქსიმუმ 15 წუთიან მოხსენებას. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, საბოლოო შეფასებასთან ერთად, რომელიც მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების შეფასებას (აღნიშნული პროცესი ეხება ნაშრომის ყველა კომპონენტის შეფასებას, მათ შორის დაცვის პროცესის შეფასებას). სამაგისტრო პროგრამის განვითარებისა და სამაგისტრო დისერტაციის დაცვის შეფასების გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების მისაღწევად, სასურველია მოხდეს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რუბრიკების განახლება, რათა იყოს უფრო გამჭვირვალე და დეტალური.

ვიზიტის დროს ექსპერტებმა გადახედეს სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომებს. ზოგიერთ სამაგისტრო დისერტაციაში მხოლოდ მცირე რაოდენობის ბიბლიოგრაფია იყო მითითებული და

არ არსებობდა აკადემიური წყაროები, ასევე, ზოგიერთი ნაშრომის სტრუქტურა და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი შედგენილია წესების მიხედვით (APA სტილი), ხოლო ზოგიერთს არცერთი არ ახასიათებდა. ამიტომ რეკომენდებულია სამაგისტრო დისერტაციის ხელმძღვანელებმა უფრო მკაფიო მითითებები მისცენ სტუდენტებს ლიტერატურული წყაროების ციტირებისა და სამაგისტრო ნაშრომის APA სტილის წესების მიხედვით შედგენის შესახებ.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავა პლაგიატის გამოვლენის, პრევენციის და პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმები და პროცედურები. სტუდენტების ყველა სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატის გამოვლენის პროგრამით. ინსტიტუტმა წარმოგვიდგინა strikeplagiarism.com-ით შემოწმებული სამაგისტრო ნაშრომის შესახებ ანგარიშები.

სასწავლო პროცესის რეგულირების მე-11 მუხლი. სტუდენტთა მიღწევების შეფასების მე-9 პუნქტში მოცემულია შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურები: თუ სტუდენტი საგამოცდო ნაშრომის გაცნობის შემდეგ თვლის, რომ იგი არაობიექტურად შეფასდა, მას უფლება აქვს გაასაჩივროს შუალედური/ფინალური, ძირითადი და დამატებითი გამოცდების შედეგები შეფასების გაგებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. კომისიის მუშაობის შემდეგ სააპელაციო კომისია ადგენს ოქმს, სადაც დასაბუთებულია შეფასების შედეგები. კომისიას შეუძლია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

- ა) მოუმატოს ქულა;
- ბ) ქულა უცვლელი დატოვოს;
- გ) შეუმციროს ქულა.

ქულის შემცირების გადაწყვეტილება შეიძლება სტუდენტისთვის ხელისშემშლელი ფაქტორი იყოს და არ გავრცელდეს შეფასების გასაჩივრების პროცედურაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუები დაწესებულებაში ვიზიტის დროს;
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://sportuni.ge/>
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;
- სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;
- ერთიანი საგამოცდო ცენტრის დებულება;
- პლაგიატის გამოვლენის, პრევენციის, პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმები და პროცედურები;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სტუდენტების შეფასების სისტემის განახლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის No. 3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისად.
- რეკომენდებულია სტუდენტებისთვის მკაფიო მითითებების მიცემა ლიტერატურული წყაროების ციტირების შესახებ და სამაგისტრო ნაშრომში APA Style-ის წესების დაცვის უზრუნველყოფა.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია სამაგისტრო ნაშრომის შეფასების რუბრიკების განახლება, რათა იყოს უფრო გამჭვირვალე და დეტალური.

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცია(ები): არ არის მითითებული

რჩევა(ები): არ არის მითითებული

პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

რეკომენდაცია(ები):

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|---------------------------------|---|---|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, (ბაკალავრიატი) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|---------------------------------|---|---|---|
| | | | | |

| | | | | |
|---|--------------------------|-------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | | |
| პროგრამა 1 (სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ, პირველ კვირაში სტუდენტებს უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა სტუდენტური თვითმმართველობისა და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან. სტუდენტებს მიეწოდებათ ყველა სახის ინფორმაცია სასწავლო უნივერსიტეტის სერვისების შესახებ. ასევე, სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ ყველა საჭირო ინფორმაციაზე უნივერსიტეტის სტუდენტური პორტალის მეშვეობით (სასწავლო პროცესის მართვის სისტემა (START), საიდანაც მათ შეუძლიათ მიწერონ საგნის ლექტორს, მიიღონ მისგან გამოხმაურება და გამოიყენონ საგანმანათლებლო რესურსები. ვიზიტის დროს გასაუბრებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ შეუძლიათ ლექტორებთან პირადად შეხვედრა ან დისტანციური კომუნიკაცია Zoom პლატფორმის საშუალებით.

სასწავლო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტთან, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო აქტივობების შესახებ. ყოველწლიურად იმართება საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჯანმრთელობა და სპორტი“. უნივერსიტეტი აუმჯობესებს ინგლისური ენის ცოდნას - საბაკალავრო პროგრამა მოიცავს ინგლისურენოვან კომპონენტს, რომელიც შედგება 10 ECTS კრედიტიანი მოცულობის საგნისგან – ინგლისური სპეციფიკური მიზნებისათვის. დაწესებულებამ წარმოადგინა საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ მიმდინარე (2023) წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობების

ჩამონათვალი. ERASMUS+-ის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტმა კონკურენტუნარიანი განცხადები შეიტანა უცხოურ უნივერსიტეტებთან პარტნიორობით. Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის კონკურსის ფარგლებში, სპორტის უნივერსიტეტის ორი სტუდენტი ლიტვის სპორტულ უნივერსიტეტში სწავლობს. მიუხედავად ამისა, გირჩევთ გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობის ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ასევე გაცვლით პროგრამებში.

ვიზიტის დროს დამსაქმებლებმა კმაყოფილება გამოხატეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების მიმართ. თანამშრომლობის ფარგლებში სტუდენტები გადიან სტაჟირებას და ჩართულნი არიან სპორტული ფედერაციის სხვადასხვა საქმიანობაში, მათ შესაძლებლობა აქვთ გაეცნონ დარგის სპეციფიკას და შეიძინონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. სტუდენტები ასევე ჩართულნი არიან სხვადასხვა საერთაშორისო სპორტული ღონისძიების ორგანიზებასა და დაგეგმვაში. თანამშრომლები გამოხატავენ მზადყოფნას, რომ მეტი კომუნიკაცია ჰქონდეთ სტუდენტებთან ცოდნის გაზიარებით, შესაბამისად, სასურველია ხელი შეეწყოს სხვადასხვა სემინარისა და სამუშაო შეხვედრის ორგანიზებას სტუდენტებისათვის, დასაქმებულების ჩართულობით.

უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს სპორტისა და კულტურის სამსახურს, რომელშიც აქტიურად არიან ჩართული უნივერსიტეტის სტუდენტები. ბოლო წლების განმავლობაში, ამ სამსახურის ფარგლებში წარმატებით ტარდება შიდა საუნივერსიტეტო სპორტული ჩემპიონატები.

ვიზიტის დროს გასაუბრებისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა თავიანთი დადებითი დამოკიდებულება გამოხატეს პროგრამების მიმართ. ისინი კმაყოფილები არიან სწავლების ხარისხით, პროფესორებისა და მასწავლებლების დონით, სწავლების მეთოდებით და სტუდენტური მომსახურებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულებაში ვიზიტისას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუები;
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი <https://sportuni.ge/>
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ მიმდინარე (2023) წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობების ჩამონათვალი.
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მონაცემები;
- სტუდენტური თვითმმართველობის დებულება;
- საგანმანათლებლო პროცესის მართვის სამსახურის დებულება;
- სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის დებულებები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია სტუდენტების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ასევე გაცვლით პროგრამებში.
- სასურველია, დამსაქმებლების ჩართულობით, სტუდენტებისთვის სხვადასხვა სემინარის და ვორქშოპის ხელშეწყობა და ორგანიზება.

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

რეკომენდაცია(ები): არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---|---|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების წინაპირობას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავა შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტები: სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმები და სამაგისტრო ნაშრომის შევსების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქციები, სადაც ასახულია ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები, დანიშვნის პროცესი, ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესი, ასევე სამაგისტრო ნაშრომის თემა და ხელმძღვანელის შერჩევის პროცედურები და დამტკიცების პროცედურა. პროცედურებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ უმაღლეს სასწავლებელს შემუშავებული აქვს პროცედურული ჩარჩოს ხედვა, თუმცა, გირჩევთ, „სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმებში“ შეტანილი იქნას სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეცვლის ინსტრუქცია.

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრანტებს ხელმძღვანელებად ჰყავთ დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. პროგრამაში არის 9 აკადემიური პერსონალი, რომლებიც ფლობენ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის ან თანახელმძღვანელობის კომპეტენციას. მარეგულირებელ დოკუმენტებში დაკონკრეტებულია, რომ ერთი სემესტრის განმავლობაში პირი არ შეიძლება იყოს ორზე მეტი მაგისტრანტის ხელმძღვანელი.

ვიზიტის დროს სამაგისტრო დისერტაციის ხელმძღვანელებმა ექსპერტებს განუცხადეს, რომ მათ რეგულარულად აქვთ კონსულტაციები მაგისტრანტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და საკვლევ თემას (მინიმუმ ერთხელ კვირაში). ხელმძღვანელს ევალუა მეთვალყურეობა გაუწიოს მაგისტრანტის მუშაობას, მისცეს რეკომენდაციები ისეთ საკითხებზე როგორცაა კვლევის პროექტი, წყაროების შერჩევა, საკვლევ პრობლემის ფორმულირება, საკვლევ კითხვებისა და ჰიპოთეზების ჩამოყალიბება. ვიზიტის დროს გასაუბრებისას კურსდამთავრებულებმა პოზიტიური დამოკიდებულება გამოხატეს თავიანთი ხელმძღვანელების მიმართ.

ვიზიტის დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ მაგისტრატურის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ შეაფასონ სამეცნიერო ხელმძღვანელთან თანამშრომლობა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ფოკუს ჯგუფების (სტუდენტური კმაყოფილება) ფარგლებში. რამდენადაც მხოლოდ ამ პროცესით შეუძლებელია ყოვლისმომცველი ინფორმაციის წარმოჩენა, რეკომენდებულია სამაგისტრო დისერტაციების ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმების შემუშავება, რათა უზრუნველყოფილი იყოს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტური განხორციელება და განვითარება.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები

| პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური) ⁹ | |
|--|------|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | 9 |
| //სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა | - |
| მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა | 96 |
| //დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა | - |
| სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა | 96/9 |
| სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა | - |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დაწესებულებაში ვიზიტის დროს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუები;
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქციები;
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმები;

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეცვლის ინსტრუქციის შეტანა „სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმების დებულებაში“;
- სასურველია, რომ უსდ დაფიქრდეს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის საქმიანობის ხარისხის ყოვლისმომცველი შეფასების დამატებითი მექანიზმების შემუშავებაზე, ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტური განხორციელებისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

⁹ აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

რჩევა(ები): არ არის მითითებული

პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

რეკომენდაცია(ები): არ არის მითითებული

რჩევა(ები): არ არის მითითებული

შეფასება

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| პროგრამა 1 (ზიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური პირებისგან, რომლებსაც გააჩნიათ საჭირო კომპეტენციები, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კლასტერში შემავალ პროგრამებს ახორციელებენ შესაბამისი დარგის კვალიფიციური აკადემიური, აფილირებული და მოწვეული ლექტორები და პირები. მათ აქვთ საჭირო კომპეტენციები, აკადემიური ცოდნა და გამოცდილება პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. ისინი პროგრამაში ჩართულნი არიან უნივერსიტეტის კანონმდებლობისა და შინაგანაწესის შესაბამისად. ეს დასტურდება მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, მათ შორის დიპლომებითა და რეზიუმეებით, ასევე მხარდაჭერილი სამეცნიერო ნაშრომებით, პუბლიკაციებით და ბოლო 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სხვადასხვა სახის სამუშაოებით. აკადემიური პერსონალის შერჩევა ხდება ღია კონკურსის წესით, შერჩევის პროცედურა არის სამართლიანი და გამჭვირვალე.

როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას გაირკვა, უნივერსიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების მოზიდვას და, ასევე, აქვს მეტი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალის მოზიდვის სტრატეგია. ბევრია მოწვეული ლექტორი, რომელიც, როგორც ჩანს, მოტივირებულია, რომ უფრო დიდხანს დარჩენ, თუმცა უმაღლეს სასწავლებლებმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მეტი აკადემიური პერსონალის აყვანაზე. ადმინისტრაციასთან ინტერვიუს მიხედვით, მნიშვნელოვანია კადრების მომზადება სპორტულ სფეროში, ისინი განიხილავენ მოკლევადიანი კურსების ჩატარებას, რათა კადრები ამ სპეციფიკას მოარგონ. ასევე, უმაღლესმა სასწავლებელმა შესაძლოა განიხილოს სპორტის სფეროში დამსაქმებლების ჩართულობა ვორქშოფების, ტრენინგების, სემინარების და ა.შ. ორგანიზების საკითხში. ეს მნიშვნელოვანია პერსონალის პროფესიული განვითარების გაძლიერებისა და ხელშეწყობის მიზნით. გასაუბრებისას დამსაქმებლებმა გამოთქვეს მზადყოფნა და სურვილი, რომ თავიანთი გამოცდილება და ცოდნა კოლეგებს გაუზიარონ. გარდა ამისა, გაირკვა, რომ ისინი კადრების გაზრდაზეც ფიქრობენ, რადგან უნივერსიტეტში ჩარიცხვის მსურველთა რიცხვი იზრდება.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მდგრად წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/სამეცნიერო საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. უნივერსიტეტში შემუშავებულია და ფუნქციონირებს აკადემიური პერსონალის მაქსიმალური დატვირთვის სქემის შემუშავების მეთოდოლოგია. როგორც ინტერვიუდან გახდა ცნობილი, რადგან სპორტთან დაკავშირებული საგნები სპეციფიკურია, ლექტორების უმეტესობა მხოლოდ ამ უნივერსიტეტშია დასაქმებული.

როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა შესაბამისია როგორც სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის, ასევე სამეცნიერო კვლევისა და სხვა, მათზე დაკისრებული საქმიანობების რეგულარული შესრულებისთვის.

აკადემიურ პერსონალს შორის თანაფარდობა, ავილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩათვლით, სტუდენტების რაოდენობა და მათ შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამების მდგრადობას.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებს აქვთ პროგრამების შემუშავებისთვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება, ასევე შესაბამისი კვალიფიკაცია და კომპეტენცია სპორტულ სფეროში. ისინი უშუალოდ არიან ჩართულნი პროგრამების განხორციელებასა და სასწავლო პროცესებში. მათ აქვთ პროგრამის მართვის მრავალწლიანი გამოცდილება. ეს ასევე დასტურდება მოწოდებული დოკუმენტებითა და გასაუბრების შედეგებით.

პროგრამები დაკომპლექტებულია სათანადო რაოდენობის კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ეს პირები პასუხისმგებელი არიან ადმინისტრაციულ პროცესებზე და დასაქმებულნი არიან სხვადასხვა განყოფილებაში, როგორცაა სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, სპორტისა და კულტურის სამსახური, სამეცნიერო კვლევითი სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური. სტუდენტებს დახმარებას უწევს 10 ადმინისტრაციული თანამშრომელი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსებით, რომელიც საჭიროა მისი განხორციელებისათვის. დოკუმენტაციამ (უმაღლესი სასწავლებლის მიერ მოწოდებული) და გასაუბრების შედეგებმა აჩვენა, რომ მათ აქვთ საერთაშორისო კონვენციებში მონაწილეობის გამოცდილება, გავლილი აქვთ სხვადასხვა პროფესიული ტრენინგ კურსები, ესწრებოდნენ კონგრესებს, მოწინავე კურსებს სპორტის მენეჯმენტში და ა.შ. ზოგიერთ მათგანს აქვს პრაქტიკული გამოცდილება სპორტის სფეროში, შესრულებული აქვს სამეცნიერო შრომები, კვლევები და პუბლიკაციები.

| პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)¹⁰ | | | | |
|---|--|--|--|---|
| ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი (ბაკალავრიატი) | | | | |
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ¹¹ | მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის | მათ შორის, ავილირებული აკადემიური პერსონალი |

¹⁰ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹¹ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

| | | | | |
|---|----|----|---|---|
| შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | | | ხარისხის მქონე პერსონალი. ¹² | |
| აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა | 27 | 11 | 10 | 9 |
| - პროფესორი | 2 | 2 | 2 | 2 |
| - ასოცირებული პროფესორი | 13 | 5 | 5 | 6 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 1 | 1 | 1 | 1 |
| - ასისტენტი | | | | |
| მოწვეული პერსონალი | 11 | 3 | 2 | - |
| სამეცნიერო პერსონალი | | | | - |

აკადემიური სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 15/11–ზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

პერსონალის უმრავლესობა საერთოა ორივე პროგრამაში, ამიტომ კადრების კვალიფიკაციის შესახებ მოცემულობა ორივე პროგრამაზე ვრცელდება.

| პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური) ¹³ სპორტის მენეჯმენტი (მაგისტრატურა) | | | | |
|--|--|--|--|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ¹⁴ | მათ შორის დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი. ¹⁵ | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |

¹² დოქტორის შესაბამისი ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს.

¹³ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹⁴ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹⁵ დოქტორის შესაბამისი ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს.

| | | | | |
|--|----|---|---|---|
| მოწვეული პერსონალი) | | | | |
| აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა | 14 | 6 | 5 | 6 |
| - პროფესორი | 1 | - | - | |
| - ასოცირებული პროფესორი | 7 | 5 | 5 | 5 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 1 | 1 | - | 1 |
| - ასისტენტი | | | | |
| მოწვეული პერსონალი | 5 | | | - |
| სამეცნიერო პერსონალი | | | | - |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრების შედეგები
- დანართი 1.1.1 საბაკალავრო პროგრამა –ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი
- დანართი 1.1.2 სამაგისტრო პროგრამა – სპორტის მენეჯმენტი
- დანართი 1.4.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების პროცედურის მეთოდოლოგია
- დანართი 2 ბაკალავრიატის პერსონალი
- დანართი 2 მაგისტრატურის პერსონალი
- დანართი 3 ძირითადი საანგარიშო განყოფილება
- დანართი 4.1.1 პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელების პერსონალური მონაცემები (CV) და საკვალიფიკაციო დოკუმენტები (დიპლომები);
- დანართი 4.1.2 უნივერსიტეტის ორგანიზაციული სქემა, სტრუქტურა;
- დანართი 4.1.3 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- დანართი 4.1.4 აფილირების წესი;
- დანართი 1.4.1 „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“.
- საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასება

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის ზოგადი რჩევები:

- სასურველია, უსდ დაფიქრდეს დარგობრივი ექსპერტიზის მექონე მეტი აკადემიური პერსონალის აყვანაზე და დამსაქმებლების მეტად ჩართულობაზე ვოქრშოფების, ტრენინგებისა თუ სემინარების ჩასატარებლად.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი (მაგისტრატურა))

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმები“. დოკუმენტში აღწერილია მოთხოვნები სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიმართ. ამ დოკუმენტის თანახმად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სპორტული უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წევრი ან მოწვეული თანამშრომელი. ამასთან, ერთი სემესტრის განმავლობაში პირი არ შეიძლება იყოს ორზე მეტი მაგისტრანტის ხელმძღვანელი. მაგისტრატურის სტუდენტს შეიძლება ჰყავდეს ერთი ან მეტი ხელმძღვანელი, რომელთაც აქვთ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო კვლევის გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამწვრთნელო/სპორტული ორგანიზაციის ადმინისტრირების მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება (არანაკლებ 5 წლისა) და ბოლო 5 წლის განმავლობაში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის გამოცდილება შეიძლება დაინიშნოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელად.

ამჟამად უნივერსიტეტში არის რვა აკადემიური პერსონალი, რომლებიც პროგრამაში ჩართულნი არიან სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებად.

| პროგრამა 1 (სპორტის მენეჯმენტი, სამაგისტრო)¹⁶ | | | |
|---|--|--|--|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა |
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | 8 | 5 | 8 |
| - პროფესორი | 1 | 1 | 1 |
| - ასოცირებული პროფესორი | 7 | 4 | 7 |
| - ასისტენტ-პროფესორი | | | |
| მოწვეული პერსონალი | | | - |
| სამეცნიერო პერსონალი | | | - |

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრების შედეგები
- დანართი 1.1.1 საბაკალავრო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი
- დანართი 1.1.2 სამაგისტრო პროგრამა – სპორტის მენეჯმენტი
- დანართი 4.1.1 პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული

¹⁶ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

პერსონალის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელების პერსონალური მონაცემები (CV) და საკვალიფიკაციო დოკუმენტები (დიპლომები);

- დანართი 1.4.1 „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“;
- დანართი 4.1.3 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- დანართი 4.1.4 აფილირების წესები
- საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასება
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევის კრიტერიუმები

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის ზოგადი რჩევები:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---|---|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
 - უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
-

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგების მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აფასებს პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობას. დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების შედეგების ანალიზი“ საშუალებას იძლევა გავიგოთ, რამდენად მიღწეულია სილაბუსით განსაზღვრული შედეგი, კერძოდ სამიზნე ნიშნული თითოეულ საგანში.

შეფასების შედეგები გამოიყენება როგორც პერსონალის მოტივაციისთვის, ასევე გამოვლენილი საჭიროებების გასაუმჯობესებლად. შეფასების შედეგები ინდივიდუალურად ეცნობება თითოეულ თანამშრომელს, პროგრამის მენეჯერს, სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელს და შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეფასების შედეგებს გამოიყენებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების გასაუმჯობესებლად და აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.

ყოველი სემესტრის ბოლოს სტუდენტები აფასებენ სასწავლო კურსის მიმდინარეობას და მის განმახორციელებელ ლექტორს. გამოკითხვის მთავარი მიზანია ლექტორების შეფასება, სტუდენტების საჭიროებების შესწავლა, ლექტორების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა და ანალიზი.

როგორც აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას გაირკვა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მათ ეგზავნებათ „პერსონალის აღრიცხვის ფურცელი“, სადაც აღწერენ მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს. ისინი ასევე იღებენ უკუკავშირს და მათი სამუშაო ფასდება ამ მონაცემების საფუძველზე.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, აკადემიური პერსონალის უმეტესობა ჩართულია ეროვნულ და საერთაშორისო კონფერენციებში, სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში. უნივერსიტეტი ჩართულია რამდენიმე საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში (Erasmus) და აღნიშნული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო მობილობა. უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია განავითაროს პერსონალის პრაქტიკული უნარები, ჩართოს მეტი ექსპერტი და შესაბამისი პირები სხვადასხვა ღონისძიებაში, მოიზიდოს სათანადო პერსონალი პროექტის მენეჯმენტისა და სპორტული ღონისძიებების დაგეგმვის შესახებ ცოდნის გასაზიარებლად, რაც ემსახურება პერსონალის განვითარების მიზნებს.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან და ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით გაირკვა, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ისეთი ქვეყნების უნივერსიტეტებთან, როგორცაა ლიეტუვა, პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი და ა.შ. უნივერსიტეტი ასევე მხარს უჭერს მათ სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებაში. უსდ ასევე მხარს უჭერს პერსონალს ლიტერატურის შექმნაში და მუდმივად ითვალისწინებს იმას, რაც აუცილებელია აკადემიური და სამეცნიერო მუშაობისთვის. რაც შეეხება მოწვეულ ლექტორებს, როგორც ინტერვიუში განაცხადეს, უნივერსიტეტი დაეხმარა მათ სპეციალური ონლაინ კურსების გავლაში და ასევე გამოყო სახსრები კურსებისთვის საჭირო მასალების თარგმნისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი 4.3.1. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება;
- დანართი 4.3.2 აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევა;
- დანართი 4.3.3 შრომითი კმაყოფილების კვლევის ანალიზი;
- დანართი 4.3.4 აკადემიური პერსონალის ზღვრული დატვირთვის სქემის შემუშავების მეთოდოლოგია;
- დანართი 4.3.5 კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების წესი;
- დანართი 4.3.7 ადამიანური რესურსების მართვის ჩარჩოს უზრუნველყოფა;
- დანართი 4.3.9 მოწვევა კონფერენციაზე;
- კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების მეთოდი;
- დანართი 2.2.3 სამეცნიერო-კვლევითი სამსახურის ანგარიში;
- დანართი 3.1.8 საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასება

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის ზოგადი რჩევები:

- პერსონალის განვითარებისა და პრაქტიკული უნარების გასაძლიერებლად, მიზანშეწონილია სხვადასხვა ღონისძიებაში პრაქტიკის მეტი ექსპერტისა და შესაბამისი სპეციალისტების ჩართვა, შესაბამისი პერსონალის მოზიდვა პროექტის მენეჯმენტისა და სპორტული ღონისძიებების დაგეგმვის შესახებ ცოდნის გასაზიარებლად, რაც მიზნად ისახავს პერსონალისთვის განვითარების შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

შეფასება

| კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---|---|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.4. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკრედიტაციის ექსპერტები ეწვივნენ ი. ჭავჭავაძის 49 ნომერში მდებარე უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. ცნობილი სპორტული უნივერსიტეტის შენობის რეაბილიტაციის გამო, უნივერსიტეტი სარგებლობს დროებითი ლოკაციებით. ესენია: ვაჟა-ფშაველას გამზ. 76ბ (კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო) და ანა პოლიტკოვსკაიას ქ. 26, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა. ამჟამად ლექციები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში ტარდება, თუმცა მიმდინარეობს ვაჟა-ფშაველას გამზ.76ბ–ში გადასვლის პროცესი. სტუდენტებს დახვდებთ ნათელი და კეთილმოწყობილი 26 აუდიტორია, თანამედროვე კომპიუტერული კლასები და ბიბლიოთეკა, საპროფესორო და სტუდენტური თვითმმართველობის სივრცე, ასევე არის ცალკე სივრცე სტუდენტებისთვის.

ექსპერტებმა დაათვალიერეს შენობები და სტუდენტებისთვის გამოყოფილი აუდიტორიები. ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეამოწმეს სილაბუსით განსაზღვრული წიგნები. აღსანიშნავია, რომ წიგნების ნაწილი სოხუმის უნივერსიტეტის შენობის ბიბლიოთეკიდან უკვე გადმოტანილი იყო. პროგრამები უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს შესაბამისი ბეჭდვითი და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ასევე დამატებითი ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებით. უცხოენოვანი სასწავლო მასალა, მათ შორის ელექტრონული სახელმძღვანელოები და პერიოდული გამოცემები, გამოიყენება როგორც სავალდებულო, ისე დამატებით ლიტერატურა. სტუდენტებს წვდომა აქვთ უნივერსიტეტის ელექტრონულ საგანმანათლებლო ბიბლიოთეკაზე, რაც კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს მათ მიერ ამ მასალების გამოყენებას. სტუდენტებს ემსახურება სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი.

სტუდენტებს წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ საერთაშორისო ბაზებზე, როგორცაა: Cambridge Journals online, e-Duke Journals Scholarly Collecton, ImechE Journals, Mathematical Sciences Publishers Journals, Openetition Journals. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ ბაზებზე წვდომა მხოლოდ უნივერსიტეტიდან არის შესაძლებელი.

სტუდენტების ცნობადობის ამაღლებისა და სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობის მიზნით, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ელექტრონული სისტემა (Start-ი). ამ ვებგვერდზე წვდომა აქვთ როგორც სტუდენტებს, ასევე აკადემიურ პერსონალს. ამ სისტემებით სტუდენტები ეცნობიან სასწავლო ცხრილს, გამოცდების განრიგს, სილაბუსებს და ა.შ. მისი მეშვეობით ხდება აკადემიურ პერსონალთან კონტაქტი.

უნივერსიტეტის სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს წვდომა აქვთ უნივერსიტეტის ვებგვერდზე: <http://sportuni.ge>

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დანართი 4.4.1 სასწავლო უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული უძრავი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სასწავლო უნივერსიტეტის კომპიუტერული საკლასო ოთახები და სასწავლო კაბინეტები;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნის მარაგის შესაბამისობა პროგრამებში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურასთან.
- ინტერვიუების შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასება

კლასტერის საერთო რჩევები:

- უკეთესი იქნება, თუ სტუდენტებს ელექტრონულ საერთაშორისო ბაზებზე წვდომა ექნებათ არა მხოლოდ საუნივერსიტეტო ქსელიდან.

შეფასება

| კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---|---|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის 2022-2023 სასწავლო წლის ბიუჯეტის შესახებ გასაუბრებისა და მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, ექსპერტებისთვის ცნობილი გახდა, რომ შემოსავალი დგება სტუდენტების გადასახადიდან და შეადგენს 216 000 ლარს, რომელშიც შედის: აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასი - 150 000 ლარი;

პრაქტიკის კუთხით დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასია - 3 000 ლარი;

კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით გაწეული ხარჯებია - 10 000 ლარი

- ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები;
- სახელმძღვანელოების გამოცემის ღირებულება;
- სტატიის გამოქვეყნების ხარჯები;
- საერთაშორისო ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებზე წვდომის ხარჯები.

ხარჯები ჯამში - 925 00 ლარი

ნაშთი - 108500 ლარი

სამაგისტრო პროგრამის 2023-2024 სასწავლო წლის საუნივერსიტეტო ბიუჯეტში შემოსავალი დგება სტუდენტების გადასახადისგან და შეადგენს 362 250 ლარს. ბიუჯეტში ასევე განსაზღვრულია ხარჯები, მათ შორისაა: აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასი - 175 000 ლარი;

პრაქტიკის ხარჯი - 2 000 ლარი;

პრაქტიკის კუთხით დასაქმებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასი - 3 000 ლარი;

კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით გაწეული ხარჯები 10 000 ლარი;

- ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები;
- სახელმძღვანელოების გამოცემის ღირებულება;
- სტატიის გამოქვეყნების ხარჯები;
- საერთაშორისო ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებზე წვდომის ხარჯები.

ხარჯები ჯამში - 260500 ლარი

ნაშთი - 101 750 ლარი

პროგრამის განხორციელებისთვის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადი გზით ხდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მწვრთნელთა ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისა და სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის 2023-2024 სასწავლო წლის ბიუჯეტი.
- დანართი 4.5.1 საფინანსო და შესყიდვების დეპარტამენტის დებულება
- დანართი 4.5.2 პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუს შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასება

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის ზოგადი რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

| კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---|---|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა

| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|-------------------------------------|---|---|---|
| პროგრამა 1 (დასახელება, დონე) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (დასახელება, დონე) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის დებულებით. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი მოიცავს სისტემურ გამოკითხვებსა და სასწავლო გეგმების, სერვისებისა და რესურსების შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფოკუსირებულია ყოველწლიურ გამოკითხვებზე, რომელშიც ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე შეფასების შედეგების გასაანალიზებლად, რათა შეინარჩუნონ ეფექტური მონიტორინგი, მოხდეს მიზნების იდენტიფიცირება და ჩამოაყალიბონ განვითარების ტენდენციები. წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასებისა და სააკრედიტაციო ვიზიტის შედეგების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ უნივერსიტეტში პროგრამის შეფასება უმეტესწილად თანმიმდევრულია და შეფასების შედეგები ძირითადად გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“ (PDCA) პრინციპზე. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულნი არიან ხარისხის შიდა შეფასების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა კოორდინაციას ახორციელებს უნივერსიტეტის ცენტრალური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახური პასუხისმგებელია სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფაზე, ორიენტირებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებაზე, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან კომუნიკაციის შეფასებაზე და იმის განსაზღვრაზე, თუ რამდენად ინფორმირებულნი არიან ლექტორების შესაბამისი რეგულაციებისა და მექანიზმების შესახებ. ამიტომ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს პროგრამის პერსონალთან და ხელს უწყობს მათ ჩართულობას, რათა უზრუნველყოს შეფასების პროცესის კონსტრუქციულობა, კოორდინირებას უწევს პროგრამებისა და მთელი უნივერსიტეტის თვითშეფასების პროცესს. პროგრამის თვითშეფასების ანგარიში მომზადებულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ თვითშეფასების პროცესმა და სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის დავალებების სათანადო განაწილებამ უზრუნველყო მათი ჩართულობა აღნიშნულ პროცესში, გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირება და შესაძლებლობების გამოვლენა მომავალი განვითარებისთვის. თუმცა, რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურმა ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად

მუდმივად იმუშაოს სისუსტეების, სიღაბუსებსა და სასწავლო გეგმებში გამოვლენილი უზუსტობების აღმოფხვრაზე თვითშეფასების ანგარიშის შემუშავებისა და პროგრამის შეფასების დროს.

ხარისხის შიდა შეფასების პროცესები ასევე მოიცავს საჭიროებების კვლევის შეფასებას პრობლემების მიზანმიმართული იდენტიფიკაციისა და ხარისხის გასაუმჯობესებელი ინტერვენციების უზრუნველსაყოფად. ეს გამოკითხვები მიზნად ისახავს სტუდენტების კმაყოფილების, საჭიროებებისა და სურვილების იდენტიფიცირებას, ასევე სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების ყოველწლიური გამოკითხვები ტარდება პროგრამის ზოგადი ადმინისტრირებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შესაფასებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაციები
- შიდა და გარე შეფასების შედეგები
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები
- ინტერვიუების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: რეკომენდებულია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურმა ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად, მუდმივად იმუშაოს სიღაბუსებსა და სასწავლო გეგმებში გამოვლენილი სისუსტეების, უზუსტობების აღმოფხვრაზე, თვითშეფასების ანგარიშის შემუშავებისა და პროგრამის შეფასების დროს.

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

| კომპონენტი 5.1 ხარისხის შიდა შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input type="checkbox"/> | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმალეს სასწავლებელში ხარისხის გარე უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების მეშვეობით, რომელსაც ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახური განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს და დასკვნები ეცნობება დეპარტამენტებს შემდგომ განსახილველად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს გატარებული ღონისძიებების შესაბამისობას მიღებულ რეკომენდაციებთან. პროგრამა ასევე აქტიურად იყენებს ადგილობრივი და/ან საერთაშორისო ექსპერტების გარე შეფასებას.

ორივე პროგრამა შეაფასა პასუხისმგებელი სპორტული ორგანიზაციების გლობალური ინსტიტუტის, მინესოტას უნივერსიტეტის კინეზიოლოგია-სპორტის მენეჯმენტის სკოლის დარგის ექსპერტმა. მიმოხილვების საშუალებით გამოვლინდა პროგრამების შეზღუდვები და შესაძლებლობები, მათ შორის გაცემული რეკომენდაციები. პროგრამის ჯგუფმა განიხილა ექსპერტების დასკვნები სამუშაო პროცესში და გაითვალისწინა ძირითადი რეკომენდაციები - გადაიხედა მოცემული ორი პროგრამის სასწავლო კურსები, რათა არ მოხდეს მათი განმეორა, მსგავსი კურსების შემთხვევაში კი უზრუნველყოფილი იქნეს სწავლის შედეგების სხვადასხვა დონეზე მიღწევა, ასევე მათ გადაამოწმეს და განაახლეს კურიკულუმები მეტი დარგობრივი კურსებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაციები
- შიდა და გარე შეფასების შედეგები
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები
- პროგრამის გარე შეფასების ამსახველი დოკუმენტები
- ინტერვიუების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

| კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მონაცემთა სისტემატური შეგროვების, შესწავლისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის შემუშავებისა და სერვისის გაუმჯობესების მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვები წარმოადგენს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის მთავარ ინსტრუმენტს. ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს სტუდენტები აფასებენ კურსს, კურსის შეფასების ფორმის შევსებით. აუცილებლობის შემთხვევაში ასევე ეწყობა ფოკუს ჯგუფები. კმაყოფილებისა და საჭიროებების შეფასებითი გამოკითხვები გამოიყენება პრიორიტეტებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. შეფასების პროცესის შედეგები ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებში და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

ყოველი სემესტრის ბოლოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შეფასების შედეგებს იყენებს სასწავლო პროცესების გასაუმჯობესებლად. პროგრამა სარგებლობს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების პრაქტიკით, რაც ხელს უწყობს პროგრამის ინდივიდუალური ხასიათის ჩამოყალიბებას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის პროგრამების ფარგლებში განხორციელების შესაძლებლობებს. პროგრამის გუნდმა გააანალიზა ანალოგური პროგრამები, რომლებიც ეკუთვნის ისეთ სასწავლებლებს, როგორცაა პორტსმუთის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი, საერთაშორისო ბიზნეს სკოლა, გერმანია და GBSB გლობალური ბიზნეს სკოლა, მალტა. ანალიზის პროცესში განიხილეს პროგრამების შინაარსი, ხანგრძლივობა, მისანიჭებული კვალიფიკაცია და პრაქტიკული კომპონენტები, რომლებშიც მოხდა შესაბამისი ცვლილებები

ბიზნესის ადმინისტრირებისა და სპორტის მენეჯმენტის საბაკალავრო და სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- შიდა და გარე შეფასების შედეგები
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები
- პროგრამის გარე შეფასების ამსახველი დოკუმენტები
- ანალოგიური პროგრამების ანალიზი
- ინტერვიუების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, დაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც თანაბრად ეხება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა ამ სტანდარტის კომპონენტთან

| კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|-------------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

| | | | | |
|---|-------------------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | <input checked="" type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
|---|-------------------------------------|--------------------------|--------------------------|--------------------------|

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები: ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი (ბაკალავრიატი); სპორტის მენეჯმენტი (მაგისტრატურა)

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| შინაარსი / სტანდარტი | 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები |
|--|---|--|---|--------------------------------------|---|
| პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება და სპორტის მენეჯმენტი, ბაკალავრიატი) | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| პროგრამა 2 (სპორტის მენეჯმენტი, მაგისტრატურა) | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

პროფესორი დოქტორი რუდიგერ ლომანი, გამოყენებითი მეცნიერებების ტექნიკური უნივერსიტეტი, გერმანია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი(ები)

ვასილ კიკუტაძე

მაია ჭინჭარაშვილი

თამთა ცხოვრებაძე

დავით კაკიაშვილი